ინდივიდუალური ტრაგედიიდან პოლიტიკური ამინდის შექმნამდე: კრიმინალური ნარატივების ინსტრუმენტალიზაცია ქართულ პოლიტიკურ პიარში

მაგისტრანტი - ნინო მაჩაბელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: **საზოგადოებრივი ურთიერთობები**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **თორნიკე გურული, პროფესორი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ ადრე გამოქვეყნებულ, ქამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის სათანადოდ მითითებული, მოხსენიებული ან ციტირებული აკადემიური ეთიკისა და დადგენილი წესების შესაბამისად.

ვადასტურებ, რომ ნაშრომში გამოყენებული ყველა მასალა, წყარო და კვლევითი რესურსი მითითებულია შესაბამისი ციტირების სტანდარტის დაცვით. ასევე, ვაცნობიერებ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მნიშვნელობას და ვიღებ პასუხისმგებლობას წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსზე.

მაგისტრანტი: ნინო მაჩაბელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს საქართველოში კრიმინალური შემთხვევების პოლიტიზაციის პროცესს და მის გავლენას პოლიტიკური აქტორებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების იმიჯზე. კვლევის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ გარდაიქმნება ინდივიდუალური კრიმინალური მოვლენები მედიისა და პოლიტიკური დისკურსის გავლენით პოლიტიკური პასუხისმგებლობის, ინსტიტუციური ეფექტიანობისა და ლეგიტიმაციის შეფასების ინსტრუმენტად.

კვლევა ეფუძნება ინტერპრეტატივისტურ მიდგომას და შერეულ მეთოდოლოგიურ დიზაინს, რომელიც აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს. ემპირიული მასალა მოიცავს რეზონანსული კრიმინალური შემთხვევების ანალიზს, დაზარალებული ოჯახების წარმომადგენლებთან და უფლებადამცველებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს, ასევე საზოგადოების დამოკიდებულებების შესასწავლად განხორციელებული ონლაინ კითხვარის შედეგებს.

კვლევის თეორიულ ჩარჩოს ქმნის პოლიტიკური ფრეიმინგის, სიმბოლური პოლიტიკის, კრიზისული კომუნიკაციისა და ინდივიდუალური ტრაგედიების პოლიტიზაციის შესახებ არსებული თეორიული მიდგომები.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მაღალი მედიარეზონანსის მქონე კრიმინალური შემთხვევები ხშირად სცდება სამართლებრივ კონტექსტს და გარდაიქმნება პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმად. ამ პროცესში მედია ფრეიმინგი და პოლიტიკური ნარატივები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აღქმების ფორმირებაზე, ინსტიტუციურ ნდობასა და პოლიტიკური აქტორების იმიჯზე. კვლევა ხელს უწყობს საქართველოში კრიმინალური შემთხვევების პოლიტიკური ტრანსფორმაციისა და მათი კომუნიკაციური გამოყენების მექანიზმების უკეთ გააზრებას.

საკვანძო სიტყვები: *კრიმინალის პოლიტიზაცია, პოლიტიკური ფრეიმინგი, ინსტიტუციური ნდობა, მედია, სიმბოლური პოლიტიკა, პოლიტიკური იმიჯი, ნარატივები.*

Abstract (English)

This master's thesis examines the process of politicization of criminal cases in Georgia and its impact on the image of political actors and state institutions. The study aims to analyze how criminal events, under the influence of media coverage and political discourse, are transformed into instruments for assessing political responsibility and institutional legitimacy.

The research is based on an interpretivist approach and employs a mixed-methods methodology, combining qualitative and quantitative research methods. The empirical material includes in-depth interviews, online survey results, and the analysis of high-profile criminal cases that became subjects of public and political discussion.

The theoretical framework of the study is based on the theories of political framing, symbolic politics, and crisis communication.

The findings demonstrate that criminal cases receiving significant media attention often go beyond their legal context and become mechanisms through which political responsibility and institutional performance are evaluated. In this process, media framing and competing political narratives contribute to fluctuations in institutional trust and influence the public image of political actors.

Keywords: *politicization of crime, political framing, institutional trust, media, symbolic politics, political image, narratives.*

მადლობა

მსურს, მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის პროფესორს, თორნიკე გურულს გაწეული შრომის, აქტიური ჩართულობის, რეკომენდაციების, მხარდაჭერისა და ცოდნის გაზიარებისთვის.

ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი კვლევის ფარგლებში ჩართულ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ყველა რესპონდენტს, მონაწილეობისთვის, ნდობისა და საკუთარი გამოცდილებისა და მოსაზრებების გაზიარებისთვის, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში.